

კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა

დიანა ბოგიშვილი

მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია კულტურათაშორისი აღზრდის პრობლემას ეძღვნება. თანამედროვე, გლობალიზაციის ეპოქაში ამ პრობლემის აქტუალობა უდავოა. გლობალიზაციის უაღრესად დინამიური პროცესი, თანდათან მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეეხება, მათ შორის, საქართველოს; ეს კი თავისთავად გულისხმობს კულტურათაშორისი დიალოგისთვის საჭირო თანამედროვე უნარ-ჩვევებისა და ნორმების შეთვისების აუცილებლობას. კულტურათაშორისი ურთიერთობა, დიალოგი, უპირველესად, ენობრივი ფენომენია. სწორედ ამიტომ სტატიაში კულტურათაშორისი აღზრდის პრობლემა დისკურსის ცნების ფონზე განიხილება, კერძოდ, თანამედროვე საზოგადოების, ეროვნული სახელმწიფოს, სკოლის და უნივერსიტეტის დისკურსების ფონზე. სტატიაში წარმოჩენილია ჰეტეროგენულობისა და ჰომოგენურობის პრობლემა ეროვნული დისკურსის ფარგლებში. კულტურული მრავალფეროვნების ცნება თანამედროვე საზოგადოების დისკურსის მთავარი თემაა. ინდივიდი, როგორც სუბიექტი, დისკურსში ფორმირდება. სკოლა და უნივერსიტეტი არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუტებია, არამედ იგი ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილიცაა. საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დისკურსში კულტურათაშორისი აღზრდისა და პედაგოგიკის, როგორც სწავლების პრინციპის არსებობა. კულტურათაშორისი პედაგოგიკა არის აღმზრდელობითი კონცეფცია, რომელიც ორ ძირითად პრინციპს "აღიარებას" და "თანასწორობას" ეფუძნება.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, კულტურა, გლობალიზაცია.

*“შენ თუ ჩემგან განსხვავებული ხარ, მე კი არ შეურაცხმყოფ, არამედ
მამდიდრებ”*

(ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი)

Antoine de Saint-Exupéry

კულტურული მრავალფეროვნება, პლურალიზმი და ინდივიდუალიზმი დღევანდელი, თანამედროვე ევროპული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია. ასევე აუცილებელია გლობალიზაციის მნიშვნელობის აღნიშვნა - პროცესის, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე ახდენს გავლენას, დაწყებული პოლიტიკადაც, დამთავრებული განათლებით. გლობალიზაციის ფერხულში ჩართული საქართველოც ვალდებულია წინაშე დადგა, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო დისკურსში. ადამიანების ცხოვრების გარემო და სოციალური ურთიერთობები - და ასევე სუბიექტური ფორმები - ცვალებადობისა და განვითარების უწყვეტ პროცესს ექვემდებარებიან. თანამედროვე საზოგადოების აღმწერი აქტუალური თეორიები დღევანდელობას განიხილავენ არა როგორც ჰომოგენურ ერთიანობას, არამედ მათთვის არსებული ერთიანობა პლურალისტული ფორმისაა. პლურალიზმი თავის სახეს პლურალურ აზროვნებაში, პლურალურ დისკურსებსა და პლურალურ კულტურებში იძენს. პლურალისტული დისკურსი ერთგვარი დიფერენციაციის პროცესია, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიის საფუძველია. აქ საუბარია სხვადასხვა სახის იდენტობების, სუბიექტების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან. ასეთი შეიძლება იყოს კულტურული დიფერენციაცია, სოციალური დიფერენციაცია და სხვა. მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი და ფსიქოლოგი ჰეინერ კოიპი (1. H. Keupp: 1999) საუბრობს Patchwork იდენტობაზე ანუ ინდივიდში, ინდივიდის "ფარგლებში" არსებულ სხვადასხვა სახის იდენტობებზე. ამ თვალსაზრისით, სუბიექტები თავის თავში მოიცავენ სხვადასხვა სახის სუბიექტებს, რომლებიც უწყვეტი დინებისა და განვითარების პროცესში არიან (მაგალითად, ერთი სუბიექტი თავისთავში აერთიანებს მისთვის მიწერილ სხვადასხვა როლს, როგორცაა: მოსწავლე, შვილი, დედამამიშვილი და ასე შემდეგ. როლები დროთა განმავლობაში იცვლება). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ "კულტურა დინამიურია და მოქმედებაშია".

კულტურული მრავალფეროვნების ცნება თანამედროვე საზოგადოების დისკურსის მთავარი ცნებაა. ამ დისკურსში მნიშვნელოვანი ხდება კულტურათაშორისი დიალოგის დახვეწა და ისეთი დარგების განვითარება, როგორებიცაა კულტურათაშორისი ანუ ინტერკულტურული პოლიტიკა და ეკონომიკა, კომუნიკაცია და კომპეტენცია, კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა. კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა პედაგოგიკის იმ დარგს მიეკუთვნება, რომელიც ადამიანების მიკროსამყაროს ეხება და მათ ნაციონალურ-ეთნიკურ სუბიექტივისტურ ნიშნებს წინა პლანზე წამოაწევს. ეს ნიშნავს, რომ იგი აწესრიგებს სუბიექტების დიფერენციაციის პროცესს, რომელშიც

სუბიექტების ორ ჯგუფად დაყოფა ხორციელდება: "ჩვენ" და "სხვები". წინამდებარე სტატია ეხება თანამედროვე დისკურსის თემას, თუ როგორ ხდება დღევანდელობაში სუბიექტის ფორმირება და რა ადგილი უჭირავს მას ამ დისკურსში. განხილული იქნება ეროვნული დისკურსის სახე და ამ დისკურსში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პრობლემა. საჭიროა ასევე განისაზღვროს თუ რა როლი აკისრია სკოლას და უნივერსიტეტს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილს, და ბოლოს, რატომ არის აუცილებელი საგანმანათლებლო დისკურსში კულტურათაშორისი აღზრდის და პედაგოგიკის, როგორც სწავლების პრინციპის არსებობა.

რა არის დისკურსი?

დისკურსი მიშელ ფუკოს განმარტებით, არის არა საუბრის ადმინისტრაციული მორიგი სიტყვა, არამედ ესაა ენობრივად ჩამოყალიბებული და ისტორიულად მოცემული მატერიალური პრაქტიკა, რომელიც ძალაუფლებრივ იერარქიულ ურთიერთობებს აწარმოებს. დისკურსები არსებობს ინსტიტუციების და სოციალური ჯგუფების შიგნით და იცავს მათ. ისინი მჭიდრო კავშირშია სპეციფიკურ უნარ-ჩვევებთან. დისკურსები ქმნიან საზოგადოებრივ მთლიანობას, ანუ ისინი ახდენენ საზოგადოების კონსტრუირებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკურსის გავლენა სუბიექტის ფორმირებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ინსტიტუციურ და კომუნიკაციურ სტრუქტურებშია გაერთიანებული. "დისკურსის ადგილი" "სოციალური ადგილიცაა", მაგალითად, მეცნიერება, პოლიტიკა, მედია, აღზრდა, ყოველდღიურობა და ა.შ. (2. S. Jäger: 2001). სხვადასხვა დისკურსით ხდება საზოგადოებისა და სუბიექტთა ტიპების ჩამოყალიბება, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე ინსტიტუციურ და კომუნიკაციურ სტრუქტურებში ერთიანდებიან. ამგვარად, დისკურსს აქვს საზოგადოების წესრიგის მარეგულირებელი ფუნქცია. საზოგადოებრივი დისკურსი განსაზღვრავს ასევე სკოლისა და უნივერსიტეტის ცხოვრების გარემოს. სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც არსებობს გარკვეული იერარქია მოსწავლე-მასწავლებელს შორის. შეფასების იერარქია, რომელიც, თავის მხრივ, მოსწავლის, როგორც სუბიექტის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ადამიანის აზროვნება უწყვეტი პროცესია, ამგვარად ხდება დისკურსის უწყვეტი რეპროდუცირება, ახალი ცოდნის შექმნა.

დისკურსის ადგილების გაცნობიერება აპრიორულ დონეზე არ უნდა შესრულდეს. თითოეული დისკურსის ადგილი, ანუ სოციალური ადგილი მისთვის არსებული ცოდნით ხასიათდება. ისინი ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობაში იმყოფებიან. მათი ცოდნის სტრუქტურები ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ. დისკურსებს აქვთ ისტორია, რომლიდანაც ისინი გამომდინარეობენ. წარსული ისტორიული მოვლენები აყალიბებენ თანამედროვე საზოგადოების დინებას და თანამედროვე საზოგადოების დინება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოების მომავალზე. მიშელ ფუკოს მიხედვით,

თანამედროვე საზოგადოება მრავალფეროვან პროცესებშია ჩართული. ეს პროცესები კი ცოდნათა პროდუცირებას ახდენენ (3. M. Foucault:1991).

სუბიექტის ადგილი დისკურსში

ინდივიდი, როგორც სუბიექტი, დისკურსში ფორმირდება. უნდა ითქვას, რომ სუბიექტი არ არის სრულყოფილად ავტონომიური და თავისუფალი. ის დისკურსისგან შეზღუდულია. ფუკო სხვადასხვა დისკურსის მიერ დაწესებულ ნორმებზე საუბრობს. მაგალითად, თუ ვიგულისხმებთ განათლების ხელმისაწვდომობას, იგი ყველა ინდივიდისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამგვარად ადამიანი გარკვეულ დისკურსში შეზღუდულია. აღზრდა სუბიექტის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი დისკურსია. აღზრდისა და პედაგოგიკის დისკურსში ხდება ცოდნის მიღება-გაცემის ცირკულაცია: დისკურსისთვის, ჩვენს შემთხვევაში საზოგადოებისთვის, აქტუალური და საჭირო ცოდნის მიღება (მაგალითად საჭირო კვალიფიკაციები) და დისკურსიდან (საზოგადოებიდან) მიღებული ცოდნის გაცემა. აღსანიშნავია, რომ ის პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვრცელდება, არსებული დისკურსის გავლენას განიცდის და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სუბიექტის ფორმირებაზე. ზოგადად, საუბარია ინსტიტუციურად განსაზღვრულ სოციო-კულტურულ ცოდნაზე, რომელიც გარკვეულ იერარქიულ წესრიგს ექვემდებარება. შემდეგ ნაწილში მოკლედ არის განხილული საგანმანათლებლო დაწესებულებების დისკურსის სპეციფიკა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების დისკურსი

პედაგოგიური დისკურსის (პროცესის) სტრუქტურა შემდეგნაირად არის განსაზღვრული: იერარქიული სტრუქტურა მოსწავლე-მასწავლებელს შორის, მოსწავლეთა დიფერენციაცია წარმატების (ნიშნები) და წარმომავლობის (სოციალური და ეთნიკური) მიხედვით. თანამედროვე დისკურსში, ერთი მხრივ, საუბარია არსებული დიფერენციაციის ლეგიტიმაციაზე და, მეორე მხრივ, მის ნორმალიზებაზე, ისე, რომ არსებული განსხვავებების თემატიზება აღარ ხდება. ამ ტენდენციის განხილვა კარგად ხერხდება კულტურათაშორისი პედაგოგიკის მაგალითზე, სადაც ინდივიდებს შორის განსხვავების აღიარება მთავარი თემაა, ხოლო სუბიექტის "შიგნით" არსებული ფორმების თემატიზება არ ხდება. კულტურათაშორის დისკურსში სუბიექტები საერთო მთლიანობაში ერთიანდებიან და ხდება მათი ნაციონალურ სუბიექტებად კონსტრუირება. ამგვარად ხდება, მაგალითად, სკოლაში, როგორც ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილას, ნაციონალური სუბიექტის ფორმირება (ლიტერატურის და ისტორიის სწავლების გზით). ამავ კონტექსტში კულტურათაშორისი აღზრდისა და პედაგოგიკის მეშვეობით ხდება ეთნიკური უმცირესობებისა და ემიგრანტების ინტეგრირება - მათი ჩართვა არსებულ ნაციონალურ დისკურსში.

ჰეტეროგენულობა და ჰომოგენურობა ეროვნული დისკურსის ფარგლებში

"ერი" პოლიტიკური და სოციალური განმარტების მიხედვით არის "ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, ეკონომიკური თანაცხოვრებითა და კულტურულ-ფსიქოლოგიური (ნაციონალური ხასიათი, თვითცნობიერება, ინტერესები და ყოფა) ნიშნებით (4. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი: 2004). ერის სინონიმებად მოიაზრება ასევე "ხალხი", "კულტურა", "სახელმწიფო ერი". უნდა ითქვას, რომ ყველა ამ ცნებას ერთი საერთო მახასიათებელი აქვს, ისინი საერთო სოციო-ეკონომიკურ, ისტორიულ პროცესში არიან ჩამოყალიბებული და ჰეგემონურ დისკურსებს წარმოადგენენ, რომლებიც ასევე ინკლუზიისა და ექსკლუზიის სტრატეგიებს მოიცავენ. ინკლუზიისა და ექსკლუზიის სტრატეგიებში საზოგადოების "ჩვენ" და "სხვა" ჯგუფების დიფერენციაცია იგულისხმება. ამ შემთხვევაში "ჩვენ" არის ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში ჩამოყალიბებული ჰომოგენური ჯგუფი ეროვნული იდენტობით და "სხვა" არის სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენელი, რომელიც სახელმწიფოს ჰეტეროგენობას უდებს საფუძველს.

ჰეტეროგენულობის პროცესი ანუ ჰეტეროგენიზაცია არის სოციალური დიფერენციაცია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კულტურა, ენა, სქესი, ეთნიკური წარმოავლობა, ასევე სოციალური სტატუსი სასკოლო და უმაღლესი განათლების მიხედვით. ყველა ეს დასახელებული კრიტერიუმი ერთგვარი უთანასწორობის საფუძველიცაა. აღსანიშნავია, რომ როგორც ჰეტეროგენიზაციის ასევე ჰომოგენიზაციის პროცესებიც ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფოს სტრუქტურული მახასიათებლებია, რომლებიც სახელმწიფოს ერთგვარ ეთნიკურ-კულტურულ ჯგუფებად ჰყოფს და ამავდროულად საერთო ენისა და ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეროვნული, კულტურული იდენტობის სახით ერთ ჯგუფად აერთიანებს.

სახელმწიფოში ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების არსებობა საგანმანათლებლო დისკურსში საფუძველს უდებს ისეთი დარგის განვითარებას, როგორცაა კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა. აუცილებელი გახდა საზოგადოებაში არსებული პლურალიზმის აღიარება, "სხვათა" მნიშვნელობის გაცნობიერება და დიფერენციაციასთან გამკლავება. სწორედ ამას წარმოადგენს კულტურათაშორისი აღზრდის და პედაგოგიკის ძირითადი მიზანი. მისი ამოცანაა სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანების თანაცხოვრებაზე ზრუნვა, ინტერკულტურული სწავლების პროცესში "სხვებთან" ურთიერთობის სწავლა. ამგვარად, კულტურათაშორისი აღზრდის თეზისია: სხვადასხვა კულტურის ადამიანთა თანაცხოვრება იწვევს სასწავლო პროცესების აღმოცენებას, რომლის თანამონაწილე საზოგადოების ყველა წევრია და საზოგადოების სხვადასხვა კულტურული ერთეულის წარმომადგენელი თანასწორია.

სკოლა და უნივერსიტეტი, როგორც ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილი

"ეროვნული სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება ის, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი ერის წარმომადგენელია. ეროვნული ცნობიერება ეროვნული იდენტურობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. გარდა საერთო ისტორიული მეხსიერებისა, ფსიქოლოგიური განწყობებისა, ენობრივ-მენტალური კოდების სისტემისა და ა. შ., ეროვნული ცნობიერება შეიცავს ეროვნული თვითცნობიერების მომენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია კონკრეტული პიროვნების ეროვნული კუთვნილება განისაზღვროს. პიროვნება, რომელიც ეროვნული იდენტიფიკაციის ნიშანთა უმეტესობას აკმაყოფილებს, ძნელია მივიჩნიოთ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლად, თუკი ის ასეთად არ თვლის თავს და არ იზიარებს იმავე ერის მიზნებსა და მისწრაფებებს" (4. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი: 2004).

სკოლის, უნივერსიტეტის და მათში არსებული აღმზრდელობითი დისკურსის ფარგლებში, ბუნებრივია ის მოსაზრება, რომ რომელიმე ერის წარმომადგენლობა და მისი კულტურის გაზიარება ნიშნავს, მისთვის დამახასიათებელი ქცევისა და კომუნიკაციის გათავისებებას. სკოლა და უნივერსიტეტი არის ის ადგილი, სადაც ენობრივ-კულტურული და იდეოლოგიური შეხედულებები თითოეული სუბიექტისთვის მნიშვნელობას იძენს. ამგვარად, ეს ორი საგანმანათლებლო დაწესებულება ქცევისა და ცნობიერების ფორმირების ადგილებია, სადაც ნაციონალურ-კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება ხდება.

ეროვნულ სახელმწიფოში ნაციონალური (ეროვნული) იდეოლოგია აღზრდის პროცესში ფორმირდება. ეს სპეციალურ ცოდნათა (როგორებიცაა, მაგალითად, ისტორია, ლიტერატურა, პოლიტიკა, კულტურა) გაერთიანებით ხდება. ამ ცოდნათა ერთმანეთთან დაკავშირებით ინდივიდები ნაციონალურ სუბიექტებად ყალიბდებიან. სკოლა პერმანენტული (მუდმივი) სოციალიზაციის დისკურსის ადგილია. იოჰან გოტლიბ ფიხტეს მიხედვით, სუბიექტის ფორმირებისას მასში ერთგვარი ნება, ემოცია და ნაციონალური მსოფლმხედველობა ვითარდება, რომლებიც სუბიექტის ქცევასა და მოქმედებას განსაზღვრავს (5. S. Yildiz: 2009). ამგვარად, სკოლა და უნივერსიტეტი, სადაც ძირითადად ხდება სუბიექტის ჩამოყალიბება, ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილიცაა.

კულტურათაშორისი აღზრდისა და პედაგოგიკის მნიშვნელობა

სკოლა და უნივერსიტეტი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუციაა, არამედ ეროვნული სახელმწიფოს დისკურსის ადგილიც და ეროვნული ცნობიერება სწორედ აქ ფორმირდება. ერთიანი ნაციონალური ცნობიერების არსებობის ფონზე ასევე თვალსაჩინოა სხვადასხვა, ჰეტეროგენული ჯგუფების არსებობა, რომლებიც საზოგადოებაში ემიგრანტებისა

და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ისინიც იმავე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და ჰომოგენური საზოგადოების ჰეტეროგენულ სახეს ქმნიან. საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მსჯელობა იმის შესახებ, რაოდენ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დისკურსში კულტურათაშორისი აღზრდის და პედაგოგიკის, როგორც სწავლების პრინციპის არსებობა.

აქ, უპირველესად უნდა განიმარტოს, თუ რას მოიცავს კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა.

გეორგ აუერჰეიმერის (10. G. Auerheimer: 2003) თანახმად, კულტურათაშორისი პედაგოგიკა არის აღმზრდელობითი კონცეფცია, რომელიც ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება: 1. "აღიარებას" და 2. "თანასწორობას". "თანასწორობის" პრინციპი რასიზმის და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო "აღიარების" პრინციპი გამომდინარეობს შემდეგი თეზისიდან - *არსებობს საზოგადოებრივი მრავალფეროვნება, რომელიც აღიარებული და გააზრებული უნდა იქნეს. "აღიარების" პრინციპმა აქამდე დამკვიდრებული "ტოლერანტობის" პრინციპი შეცვალა. "ტოლერანტობა" მიმართულია სხვათა შემწყნარებლობასა და მოთმენაზე, "აღიარება" კი მოიცავს ადამიანური ღირსების პატივისცემისა და ადამიანთა კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის ასპექტებს* (11. A. Honneth:1994).

კულტურათაშორისი აღზრდა არის არა სასწავლო საგანი, არამედ სწავლების პრინციპი, რომელიც, ძირითადად, ადამიანთა თანაცხოვრებას ეხება და ზოგადი განათლების სფეროში სასწავლო პროგრამებსა და გეგმებშია ინტეგრირებული. 1996 წელს გერმანიის კულტურის სამინისტროს მიერ გამართულ კონფერენციაზე (12. Kultusministerkonferenz: 1996) ხაზგასმულ იქნა შემდეგი საკითხი - კულტურათაშორისი აღზრდის პრინციპით მოსწავლეებსა და სტუდენტებს უნდა გადაეცეთ შემდეგი კომპეტენციები:

- სოციალიზაციისა და თანაცხოვრების პროცესების გააზრება;
- უცხო კულტურათა და ცხოვრების წესთა შესწავლა-გაცნობიერება;
- "სხვათა" მიმართ გახსნილობის (ღიაობა) განვითარება;
- დიფერენციაციის აღიარება და განსხვავებულობის პატივისცემა;
- "სხვათა" მიმართ სტერეოტიპული ფორმების აღქმა, გააზრება და დანგრევა;
- საკუთარი პოზიციის რეფლექსია, კრიტიკული გააზრება და სხვათა პოზიციისადმი ღიაობა, სხვათა პოზიციისადმი პატივიცემა;
- თანხმობის (კონსენსუსი) მიღწევა სკოლას, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის;
- ეთნიკური წარმომავლობის, კულტურული და რელიგიური კუთვნილების საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტის ერთობლივად შემუშავებული წესებით მოწესრიგება.

ამგვარად, კულტურათაშორისი აღზრდა და პედაგოგიკა ადამიანებს არა უბრალო ფაქტებსა და ცოდნას გადასცემს, არამედ ხელს უწყობს მათ მიერ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციების დაუფლებას. სკოლა და უნივერსიტეტი "სოციალურ გამოცდილებათა მიღების ადგილებია", სადაც, სხვა

პროცესებთან ერთად, საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შეცნობა-გააზრება ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Keupp, Heiner u.a. (1999): Identitätskonstruktionen. Das Patchwork der Identitäten in der Spätmoderne. Reinbek bei Hamburg
2. Jäger, Siegfried (2001): Kritische Diskursanalyse. Eine Einführung. 3., gegenüber der 2., überarbeiteten und erweiterten, unveränderte Auflage. DISS-Studien. Duisburg
3. Foucault, Michel (1991): Die Ordnung des Diskurses. Frankfurt am Main
4. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (2004): სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. გამომცემლობა ლოგოს პრესი.
5. Yildiz, Safiye (2009): Interkulturelle Erziehung und Pädagogik. Subjektivierung und Macht in den Ordnungen des nationalen Diskurses. 1. Aufl. Wiesbaden: VS Verl. für Sozialwissenschaften (VS Research)
6. Drechsel, Paul/Schmidt, Bettina/Gölz, Bernhard (2000): Kultur im Zeitalter der Globalisierung: Von Identität zu Differenzen. Frankfurt am Main
7. Foucault, Michel (1974): Die Ordnung der Dinge. Eine Archäologie der Humanwissenschaften. Frankfurt am Main
8. Das Subjekt und die Macht(1994): In: Michel Foucault. Jenseits von Strukturalismus und Hermeneutik. Mit einem Nachwort von und einem Interview mit Michel Foucault. Dreyfus, Hubert L./Rabinow, Paul (Hrsg.). Weinheim, S. 243-261
9. Fuchs, Brigitte/Habinger, Gabriele (1995): Die „Natur“ der Differenzen. Zum Zusammenwirken von „Rasse“ und „Geschlecht“ im westlichen Diskurs und im modernen Weltssystem. In: Biologismus, Rassismus, Nationalismus. Rechte Ideologien im Vormarsch. Fischer, Gero/Wölflingseder, Maria (Hrsg.). Wien, S. 108-120
10. G. Auerheimer (2003): Einführung in die interkulturelle Pädagogik. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.
11. A. Honneth (1994): Kampf um Anerkennung. Zur moralischen Grammatik sozialer Konflikte. Frankfurt: Suhrkamp.
12. Kultusministerkonferenz (1996): Interkulturelle Bildung und Erziehung in der Schule. In: Interkulturelles Lernen (1998: 312-318). Auch unter URL: <http://www.bebis.cidsnet.de/faecher/feld/interkultur/rechtindex.html>